1986

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 10

1 9 8 6

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (493) სექტემბერი 1986 წელი

## შინაარსი

### განკოფილება პირველი


216. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. ლეჟავას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

217. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. მ. ღლონტის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

218. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

219. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

220. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ორგანიზაციის ღონისძიებათა გეგმის თაობაზე.

221. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. მენაღარაშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.


183943

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

222. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. მ. ჟღენტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წალკის რაიონული გაზეთის „ლენინური გზით" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

224. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. დავიდოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ოდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

226. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. დ. გუმბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

227. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ თ. გ. დონჭაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. შ. კაკულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

229. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ ა. ა. ჯოლოხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

231. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. რ. აკაბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

232. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ა. დოღონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

233. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კიროვაკანის ო. აბელიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

234. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

235. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

236. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

237. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. მ. ჯარიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

238. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ს. ტრაპაიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

239. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. დ. მახარაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

240. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

241. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ს. დადუნაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

242. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ვ. დუნდუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

243. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. ხანანაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**216 ამხ. გ. გ. ლეჟავას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გელა გიორგის ძე **ლეჟავა** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობიდან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 1 სექტემბერი.

№ 883—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**217 ამხ. რ. მ. ღლონტის საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. რევაზ მიტროფანეს ძე **ღლონტი** საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 10 სექტემბერი.

№ 886—XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 218 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

### კომისიის თავმჯდომარე

**ჩხეიძე** ზურაბ ამბროსის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

### კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

**ხარბედია** ლუდვიგ სიმონის ძე — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

### კომისიის მდივანი

**გვარიშვილი** ილია კუკურის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების უფროსი რეფერენტი.

### კომისიის წევრები:

**წერეთელი** ნუგზარ აკაკის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე

**ქერაშვილი** გურამ ვახტანგის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე

**გამრეკელი** ია ბორისის ძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე

**ეჯიბაძე** ოლეგ ივანეს ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

**ჩიკვილაძე** ნოდარ მელიტონის ძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

**ჩიქვინიძე** ეთერ მიხეილის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის იურიდიული განყოფილების გამგის მოადგილე

**მაქაცარია** გენადი ვალერიანის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კაპანაძე** ალექსი პეტრეს ძე — საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**ფალიაშვილი** აპოლონ იაკობის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**ჩიხლაძე** ელგუჯა ბენიამინის ძე — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

**გიორგაძე** თეიმურაზ გივის ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი,

**ჩივაძე** ზურაბ დავითის ძე — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თ**ბილისი. 1986 წლის 16 სექტემბერი.

№ 900—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 219 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420):

1. 177-ე მუხლში სიტყვები „მოქალაქეთა დაჯარიმებას ათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ორმოცდაათ მანეთამდე" შეიცვალოს სიტყვებით „მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათ მანეთამდე, თანამდებობის პირთა — ას მანეთამდე".

2. 210-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) სსრ კავშირის სახანძრო ზედამხედველობის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს და მის მოადგილეებს, საქართველოს სსრ სახანძრო ზედამხედველობის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს და მის მოადგილეებს — თანამდებობის პირთა დაჯარიმებისა ას მანეთამდე, მოქალაქეთა — ორმოცდაათ მანეთამდე;

2) სახანძრო ზედამხედველობის უფროს სახელმწიფო ინსპექტორებს — თანამდებობის პირთა დაჯარიმებისა ოთხმოც მანეთამდე, მოქალაქეთა — ოცდახუთ მანეთამდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) სახანძრო ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორებს — თანამდებობის პირთა დაჯარიმებისა ორმოც მანეთამდე, მოქალაქეთა — ათ მანეთამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 23 სექტემბერი.
№ 903— XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 220 „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ორგანიზაციის ღონისძიებათა გეგმის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს პრეზიდიუმის განყოფილებების მიერ წარმოდგენილი „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების ორგანიზაციის ღონისძიებათა გეგმა.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობამ და განყოფილებებმა გაშალონ სათანადო ორგანიზაციული მუშაობა ყველა დასახული ღონისძიების უცილობლივ შესასრულებლად; მუდმივად გააანალიზონ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მიერ შემუშავებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების საქართველოს სს რესპუბლიკაში რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმების შესრულების მიმდინარეობა, საჭირო დახმარება გაუწიონ ადგილებზე მათს განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 25 სექტემბერი.
№ 908—XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**221** **ამხ. ი. ა. მენაღარიშვილის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ირაკლი ათინოგენის ძე **მენაღარიშვილი** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 26 სექტემბერი.
№ 915—XI.

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**222** **ამხ. პ. მ. ულენტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პეტრე მაქსიმეს ძე **ულენტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 3 სექტემბერი.
№ 883—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**223** **წალკის რაიონული გაზეთის „ლენინური გზით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რაიონის მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად, სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასარაზმავად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით წალკის რაიონული **გაზეთი „ლენინური გზით“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 9 სექტემბერი.
№ 889—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 224 ამხ. ვ. ა. დავიდოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ვერა ალექსანდრეს ასული **დავიდოვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 9 სექტემბერი.
№ 887—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 225 ამხ. ნ. ა. ოდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მდივანი ამხ. ნუგზარ არსენის ძე ოდიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 9 სექტემბერი.
№ 888—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 226 ამხ. რ. ჯ. გუმბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი რაჟდენ ჯუტანის ძე **გუმბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 11 სექტემბერი.
№ 891—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 227 ამხ. თ. გ. დონჭაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდათ წელთან დაკავშირებით მწერალი თინა გიორგის ასული **დონჭაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 11 სექტემბერი.
№ 894—XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 228 ამხ. რ. შ. კაკულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამხ. რევაზ შალვას ძე **კაკულია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 11 სექტემბერი.
№ 893—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 229 ამხ. ა. ა. ჯოლოხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ამხ. ანზორ აქვსენტის ძე **ჯოლოხავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 11 სექტემბერი.
№ 892—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 230 სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში წვლილისათვის და 1986 წლის სექტემბერში ქ. თბილისში გასტროლების წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატებით ჩატარებასთან დაკავშირებით სოხუმის კ. **გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული** თეატრი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 18 სექტემბერი.
№ 900 ა—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 231 ამხ. ნ. რ. აკაბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნური რეჯაბის ძე **აკაბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 24 სექტემბერი.
№ 904—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 232 ამხ. რ. ა. დოლონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სექტორის გამგე ამხ. რევაზ ალექსანდრეს ძე **დოლონაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 24 სექტემბერი.
№ 905—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 233 კიროვაკანის ო. აბელიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში წვლილისათვის და 1986 წლის სექტემბერში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით კიროვაკანის **ო. აბელიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 26 სექტემბერი.
№ 914—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 234 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარებასა და მაღალკვალიფიციური ბიოლოგთა კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის **ი. ს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 30 სექტემბერი.
№ 817—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 235 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ბექაია** გურამ ლუკას ძე — დირექტორის მოადგილე.

**ბადოიანი** მაქსიმე გევორქის ძე — ფოტოლაბორატორიის გამგე.

**ზაალიშვილი** მალხაზ მიხეილის ძე — მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინატიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კოროესპონდენტი.

**თოთიბაძე** ნანა კონსტანტინეს ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**კლეინი** ელენე ებერგარდის ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**მალოლეტნევი** ვიქტორ ივანეს ძე — ლაბორატორიის გამგე.

**მოსიძე** ვახტანგ მიხეილის ძე — ლაბორატორიის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მჭედლიშვილი** გიორგი იოსების ძე — ლაბორატორიის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ნადარეიშვილი** კიაზო შალვას ძე — დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ნარიკაშვილი** სერგო პავლეს ძე — ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ონიანი** თენგიზ ნესტორის ძე — ლაბორატორის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორჯონიკიძე** ციალა ალექსანდრეს ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**როიტბაკი** ალექსანდრე ილიას ძე — ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**სვანიძე** იგორ კონსტანტინეს ძე — ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ქორიძე** მანანა გრიგოლის ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ძიძიშვილი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ჭანტურია** ზაირა ეპიფანეს ასული — უფროსი ლაბორანტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 30 სექტემბერი.
№ 917—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 236 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკი“**

**ეფრემაშვილს** რაფიელ სიმონის ძეს — ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გაერთიანება „რემყოფტექნიკის“ მესაათეს.

**კოპალიანს** ბიჭიკო გრიგოლის ძეს — ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმლის კერვის ოსტატს.

**პამბუხჩიანს** კარლენ მამიკონის ძეს — ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გაერთიანება „რემყოფტექნიკის“ რადიო-ტელესახელოსნოს უფროს ოსტატს.

**პეტროსოვს** მურმან ნერსესის ძეს — ლენტეხის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმლის შეკეთების ოსტატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩხობაძეს** მირიან გედევანის ძეს — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდელების სახლის დირექტორს.

**ხონელიას** ცაცა შაკირის ასულს — აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სოხუმის ტანსაცმლის ინდკერვის ფაბრიკის დირექტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**პაიჭაძეს** არმაზ ვლადიმერის ძეს — საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველ მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 15 სექტემბერი.
№ 897—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 237 ამხ. შ. მ. გარიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპროექტო ინსტიტუტ „ცენტროსოიუზპროექტის“ თბილისის ფილიალის პროექტის მთავარ ინჟინერს ამხ. შალვა მიხეილის ძე **გარიშვილს** ძიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 15 სექტემბერი.
№ 899—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 238 ამხ. ვ. ს. ტრაპაიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფინანსების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს, სოციალისტური შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გმირს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვლადიმერ სიმონის ძე **ტრაპაიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 15 სექტემბერი.
№ 898—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 239 ამხ. ბ. დ. მახარაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამეურნეო, პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 23 სექტემბერი.
№ 901—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

## 240 „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“** მიენიჭოთ:

**აროსიანს** პარუირ არესტაკეს ძეს — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. უჯმანის რვაწლიანი სკოლის დირექტორს, პროპაგანდისტს.

**გეგენავას** ჰამლეტ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის მოადგილეს, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გეოკჩოგლიანს** ზარა ჰუსეინის ასულს — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ინჟინერ-ეკონომისტს, პროპაგანდისტს.

**თურქაძეს** გიორგი გრიგოლის ძეს — თერჯოლის შამპანური ღვინოების ქარხნის საამქროს უფროსს, პროპაგანდისტს.

**ივანოვს** ვიქტორ ვლადიმერის ძეს — ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის" მთავარ ინჟინერს, სემინარის ხელმძღვანელს.

**იმედაშვილს** აბესალომ ნოეს ძეს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილეს, პროპაგანდისტს.

**მგელაძეს** დავით ირაკლის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტს, სემინარის ხელმძღვანელს.

**მურჯიკნელს** კარლო დიმიტრის ძეს — საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარეს, სემინარის ხელმძღვანელს.

**ნიქაბაძეს** კაპიტონ ტარასის ძეს — წყალტუბოს ზონის სოფ. მუხიანის საშუალო სკოლის დირექტორს, პროპაგანდისტს.

**პულუზაშვილს** სერგო ალექსანდრეს ძეს — კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს, სემინარის ხელმძღვანელს.

**ფოთოლაშვილს** მარიამ ვასილის ასულს — თელავის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის ინჟინერს, პროპაგანდისტს.

**ქუთათელაძეს** ვახტანგ ვარლამის ძეს — ქუთაისის რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის უფროს ინჟინერს, პროპაგანდისტს.

**შაბანოვს** აშოტ არტემის ძეს — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის „კავჟელდორპროექტის" თბილისის ფილიალის განყოფილების უფროსს, თეორიული სემინარის ხელმძღვანელს.

**ცინცაძეს** იოსებ პავლეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორს.

**ციციშვილს** გივი ვასილის ძეს — გ. მ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სემინარის ხელმძღვანელს.

**ჯიბლაძეს** ვილჰელმ კარლოს ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 24 სექტემბერი.

**№ 907—XI.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 241 ამხ. ა. ს. დადუნაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი გამომგონებლობითი მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ მთავარი სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველოს ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორს ამხ. არჩილ სერაპიონის ძე **დადუნაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 24 სექტემბერი.
№ 906—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 242 ამხ. ნ. ვ. დუნდუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს ამხ. ნელი ვასილის ასულს **დუნდუას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 30 სექტემბერი.
№ 819—XI.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

### 243 ამხ. მ. მ. ხანანაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ნეიროფიზიოლოგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისა და აქტიური საზოგადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მიხეილ მიხეილის ძე **ხანანაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ГИЛАШВИЛИ.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ЛАШХАРАШВИЛИ.**

თბილისი. 1986 წლის 30 სექტემბერი.
№ 818—XI.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1986 წლის 25 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ მოისმინა ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. შაყულაშვილის ანგარიში „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ინფორმაციის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 28 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე. აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში ერთგვარად ამაღლდა სამეურნეო, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში რაიონის ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების როლი. გაუმჯობესდა სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაობა მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის, რამაც ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში სახელმწიფო დავალებათა შესრულებას.

ამასთან საყურადღებოა, რომ რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის ეფექტიან გაძღოლას, მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას; არადამაკმაყოფილებლად სრულდება 1986-1990 წლებში ბორჯომის რაიონის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შესახებ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 8 თვის შედეგების მიხედვით რაიონის მრეწველობამ ვერ შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო დავალებები, კვლავ არდამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების საქმეში. საზოგადოებრივ სექტორში არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმები. არასახარბიელო მდგომარეობაა საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეშიც. არ არის უზრუნველყოფილი ტვირთზიდვის გადიდების დაგეგმილი ტემპი, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ვაჭრობაში. როგორც ქალაქად, ისე სოფლად ჩამორჩენაა მოსახლეობის და დამსვენებლების საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გეგმის შესრულებაში; განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბორჯომისა და ბაკურიანის საკურორტო დაწესებულებებში, სასტუმროებში, პანსიონატებში, ტურისტულ და სპორტულ ბაზებში. უწესრიგობაა კურორტისა და მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში, არადამაკმაყოფილებელია კურორტის სანიტარიული მდგომარეობა.

არ არის დაწესებული ქმედითი კონტროლი საკურორტო და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობის ხარისხისა და დროული ამოქმედებისადმი, დაბალია საბინაო მშენებლობის ხარისხი; ცუდად წყდება საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხები.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები, მუდმივი კომისიები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები სათანადო გავლენას ვერ ახდენენ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაზე, უშრომელი შემოსავლის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე, კურორტის კეთილმოწყობასა და სანიტარიულ წესრიგზე, ადგილებზე კადრების დამაგრებასა და მათს პროფესიულ დაოსტატებაზე; არ ეწევიან უკომპრომისო ბრძოლას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, რის შედეგად არ კლებულობს დანაშაულობათა რაოდენობა და სოციალური სამართლიანობის პრინციპის სერიოზული დარღვევების შემთხვევები.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად და სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად სათანადოდ არ არიან მობილიზებული დეპუტატები, დეპუტატთა ფორმირებები, რაიონის ფართო საზოგადოებრიობა.

საჭირო ყურადღება არ ექცევა მუშაობაში საჯაროობის განვითარებას და დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას. სრულიად არადამაკმაყოფილებელ დონეზეა მომთხოვნელობა სამეურნეო და საბჭოთა კადრების საქმიანობის მიმართ, მათი პროფესიული და სამართლებრივი კომპეტენტურობისათვის ზრუნვა. რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების აპარატების საქმიანობაში აღმოფხვრილი არ არის ბიუროკრატიზმის, გულგრილობისა და ფორმალიზმის გამოვლინებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ინფორმაციის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 28 ივნისის დადგენილების განსახორციელებლად ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად და მისი ძირეულად გარდაქმნისათვის სათანადო წინადადებანი მისცა რაიონული საბჭოს აღმასკომს.

* * *

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ვ. ა. რაზმაძის ინფორმაცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სამინისტროები, უწყებები, მათდამი და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოებისადმი დაქვემდებარებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სამართლებრივი აქტების გამოცემისას კვლავ უხეშად არღვევენ სოციალისტურ კანონიერებას, რაც არსებით ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებს.

ამგვარი ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და სხვა აქტების გამოცემა ადგილობრივი მიზანშეწონილობისა და უწყებრივი ინტერესების გათვალისწინების მოტივით ხშირად გამოწვეულია კანონის მოთხოვნათა იგნორირებით, მმართველობითი აპარატის ცალკეულ თანამშრომელთა სამართლებრივი ცოდნის დაბალი დონით, იურიდიული სამსახურების მუშაკთა უპრინციპობითა და კანონიერების დარღვევებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. ვ. ა. რაზმაძის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე დაეგზავნოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოებია აღმასრულებელ კომიტეტებს და დაავალა მიიღონ დამატებითი ზომები მათ და მათი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემისას სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვისათვის; აამაღლონ იურიდიული სამსახურების მუშაკთა როლი და პასუხისმგებლობა სამართლებრივი აქტების პროექტთა მომზადებისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათი შესატყვისობის უზრუნველყოფაში.

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *
*

მოისმინა და განიხილა რა ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. ა. გოგოლაძის ინფორმაცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ხაშურის რაიონული საბჭო სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოძდევნო პლენუმებისა და სადირექტივო ორგანოების ხუთა გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს იურიდიული სამსახურის სრულყოფისა და დეპუტატების, საბჭოთა მუშაკების, აქტივის სამართლებრივი ცოდნის დონის აძაღლებისათვის.

ამასთან ერთად ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს იურიდიული სამსახურის მუშაობა არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, ასაბამ შეინიშნება სერიოზული ხასიათის დარღვევები და ხარვეზები.

რაიონული საბჭოს აღმასკომი იშვიათად ამოწმებს ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების გადაწყვეტილებათა კანონიერებას და მოსახლეობის სამართლებრივი ინფორმაციის პრაქტიკას, სისტემატურად არ აწარმოებს საკუთარ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა აღრიცხვას. არ ხდება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების კოდიფიკაცია. აღმასკომის იურიდიული სამსახური იშვიათად ამოწმებს წარმოება-დაწესებულებების სამართლებრივი მუშაობის საკითხებს და ამათ ძიერ კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობას.

მიუხედავად იმისა, რომ წელს იმატა რაიონის წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დარღვევათა გამო პროკურატურიდან მიღებული წარდგინებების რიცხვმა, აღმასკომს არ უმსჯელია შექმნილი ვითარებისა და მისი გამომწვევი მიზეზების თაობაზე.

არასაკმარისია რაიონული საბჭოს, აგროსამრეწველო გაერთიანების, წარმოება-დაწესებულებების იურიდიული სამსახურებისა და ადმინისტრაციული ორგანოების თანამოქმედება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სამეურნეო ურთიერთობაში კანონიერების დაცვაზე. რაიონის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სისტემატურად იზრდება მათ ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება.

აღმასკომის აპარატისა და მის ქვედანაყოფთა მუშაკების არაკომპეტენტურობა სამართლებრივ საკითხებში არც თუ იშვიათად იწვევს უკანონო გადაწყვეტილებათა მიღებას, სოციალური სამართლიანობის შელახვას და მოქალაქეთა საჩივრებს.

სუსტად წარმოებს მუშაობა რაიონული საბჭოს დეპუტატების, საბჭოთა მუშაკების, აქტივის სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად; სემინარ-ლექტორიუმის და დეპუტატთა სკოლის სასწავლო თემატიკაში მცირე ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს დათმობილი იურიდიულ საკითხებს. ამასთან, მეცადინეობებისას არ გამოიყენება სამართლებრივი პროპაგანდის ისეთი ეფექტიანი საშუალებანი, როგორიცაა სპეციალისტებთან შეხვედრა-საუბრები და კითხვა-პასუხის საღამოები.

რაიონში სათანადო ყურადღება არ ეთმობა აგრეთვე ამხანაგური სასამართლოობის წევრთა, სახალხო რაზმელთა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებში გაერთიანებულ აქტივისტთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლების საქმეს; თითქმის უმოქმედოდაა ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭო.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმითაცაა განპირობებული, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ხაშურის რაიონული საბჭოსა და წარმოება-დაწესებულებების იურიდიულ სამსახურებს სათანადო მეთოდურ ხელმძღვანელობას ვერ უწევს სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ იურიდიული სამსახურის გასაუმჯობესებლად და საბჭოთა კადრების სამართლებრივი ცოდნის დონის ასამაღლებლად გაწეული მუშაობა ჩათვალა არასაკმარისად და დაავალა მას დასახოს და ოპერატიულად განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენოს პრეზიდიუმს 1987 წლის ოქტომბერში.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მიიღონ საჭირო ზომები იურიდიული სამსახურის განმტკიცების თაობაზე „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად.

სათანადო დავალება მიეცა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.